№2143 2015 წლის 6 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

ქ. თბილისში, 2015 წლის 10-17 ოქტომბერს, სმენადაქვეითებულთა შორის ბერძნულ-რომაულ და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში (დიდებში, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში) ევროპის ჩემპიონატის მაღალ დონეზე ორგანიზებისა და ჩატარების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გამოუყოს 300 073 (სამასი ათას სამოცდაცამეტი) ლარი, შემდგომში ა(ა)იპ - საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციისათვის გადასაცემად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**